**ხელშეკრულება № 72**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. ახალციხე** **24 მარტი 2020 წელი**

ერთის მხრივ, **ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული (ქ.ახალციხე, კოსტავას ქ. №18, ს/კ 224101317) წარმოდგენილი მერი ზაზა მელიქიძის სახით,** შემდგომში "შემსყიდველი" და **შპს „სითი არტ" (მისამართი: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებელის ქუჩა, N101, კორპუსი 2, ბინა 9, ს/ნ 436255071) წარმოდგენილი დირექტორის გოგი აბუაშვილის სახით,** შემდგომში ,,მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით **NAT200004112** ელექტრონულ ტენდერში **„ქალაქ ახალციხეში, არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შეძენის უზრუნველყოფა"** (CPVკოდი 71300000 - საინჟინრო მომსახურებები) ელექტრონული ტენდერის ჩატარებისა, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

**ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4"მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 "მომსახურება"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 "ტექნიკური დავალება"- **NAT200004112** ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება.

1.8 "ტექნიკური დოკუმენტაცია"- მიმწოდებლის მიერ **NAT200004112** ელექტრონული ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**2.ხელშეკრულების საგანი**

2.1 "შემსყიდველმა"- ახალციხის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი **NAT200004112 „ქალაქ ახალციხეში, არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შეძენის უზრუნველყოფა"-ზე** და მიიღო წინადადება **შპს „სითი არტ"-ისგან** აღნიშნული მომსახურების შესრულებაზე, შემდეგ თანხაზე: **28 000 (ოცდარვა ათასი) ლარი.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებასა და მიმწოდებელის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომლებიც ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**3. სტანდარტები**

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

**4. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები**

4.1 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

**5. ხელშეკრულების ღირებულება**

5.1. ხელშეკრულების ღირებულებას შეადგენს: **28 000** (ოცდარვა ათასი) **ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.**

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვლისწინებული შემთხვევებისა.
5.3 შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს **ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი სახელმწიფო შესყიდვით მიღებული საქონლის მომსახურებისა და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისია.**
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 7. მომსახურების გაწევის პირობები

7.1 შესყიდვის ობიექტის აღწერა: **ქალაქ ახალციხეში, არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.**
7.2 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ **2020 წლის 02 ივნისის ჩათვლით.**
7.3 **მომსახურების გაწევის ვადის პერიოდში პროექტი უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში.**
7.4 შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.
7.5 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
7.6 სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას პრეტენდენტმა უნდა იხელმძღვანელოს 2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის №55 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესით“.
7.7 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს:
• საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, თითოეულ ობიექტზე ცალ-ცალკე როგორც ალბომის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსია PDF ფაილის სახით CD დისკით. მათ შორის:

- პროექტის სამუშაო ვერსია - დაარქივებული Aarchicad_ის ან autocad_ის ფაილების სახით.
- სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსიის სახით;
- ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, შესრულებული Sylfaen-ის შრიფტით.

7.8 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18.
7.9 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების პერიოდში უნდა განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა.
7.10 მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებლის მიერ საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.
7.11 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო.
7.12 მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები ტერიტორიის ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

## 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება ჩაბარება მოხდება ერთ ეტაპად, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების დასტურად და გრაფიკის შესაბამისად.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტში (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:

- შესყიდული მომსახურების დასახელება;
- შესყიდული მომსახურების ღირებულება;

8.3 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება, შემსყიდველისათვის წერილობითი წარდგენილი დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული დოკუმენტაციის და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ ამ საპროექტო დოკუმენტაციაზე გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის დასკვნის მომზადების ღირებულება ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

8.3 მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტაცია) და შემსყიდველის უფლებამოსილი პირის ან პირების დადებითი დასკვნის შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და ასანაზღაურებელ თანხას;

8.4 წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ამ დოკუმენტაციაზე გაწეული მომსახურების ღირებულების **10%.**

8.5. მომსახურების გაწევის დასრულებულად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

8.6. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

## 9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

9.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ერთეტაპად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე.

9.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო დოკუმენტაციას, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის ან პირების დადებითი დასკვნის შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.4 წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ამ დოკუმენტაციაზე გაწეული მომსახურების ღირებულების **10%. დაკავებული თანხის ანაზღაურება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.**

9.5 ხელშეკრულების მე-14 პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანგარიშსწორების შემდგომ განხორციელდება გაწეული მომსახურების თანხის ანგარიშსწორება.

9.6 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წესით:

მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 10. ფასები

10.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით.

11.4ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 13. ქვეკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;
13.2 ქვეკონტრაქტორი კომპანია ან კომპანიები არ უნდა იყვნენ რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია";
13.3 ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია: შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და ქვეკონტრაქტის ასლი;
13.4 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.
13.5 ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

## 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
14.2იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
15.2საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

16.1შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
16.2ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.3შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.4ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
16.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
16.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
16.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს

საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

18.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 19. გამოყენებული სამართალი

19.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 20. ხელშეკრულების ენა

20.1ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე.

## 21. შეტყობინება

21.1ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## მუხლი 23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

## 23. ინტერესთა კონფლიქტი

23.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## 24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

24.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, გასაწევი მომსახურების განფასება (დანართი №1).

გ) ტექნიკური პირობები;

24.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

24.4 ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
24.5ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულება დამოწმებულია ელექტრონული დოკუმენტის სახით, დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**25. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები**
**და საბანკო რეკვიზიტები**

| | |
|---|---|
| **შემსყიდველის სახელით:**<br>**ახალციხის მუნიციპალიტეტის**<br>**მერი ზაზა მელიქიძე** | **მიმწოდებლის სახელით:**<br>**შპს „სითი არტ“**<br>**დირექტორი გოგი აბუაშვილი** |
| Municipality of akhaltsikhe Digitally signed by Municipality of akhaltsikhe Date: 2020.03.24 16:54:35 +04'00'<br>*(ბ.ა ან ელექტრონული ხელმოწერა)* | _____<br>*(ბ.ა ან კვალიფიციური ხელმოწერა / ელექტრონული შტამპი)* |
| **ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18**<br>**ს/ნ 224101317**<br>**ელ-ფოსტა: akhaltsikhemeria@gmail.com**<br>**ტელეფონი: 0365 22-36-16** | **ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებელის ქუჩა, N101,**<br>**კორპუსი 2, ბინა 9;**<br>**სს "საქართველოს ბანკი"**<br>**ბანკის კოდი: BAGAGE22**<br>**ა/ა GE46BG0000000101008216**<br>**ს/კ 436255071**<br>**ელ-ფოსტა: llccityart@gmail.com** |
| | Gogi Abuashvili Digitally signed by Gogi Abuashvili Date: 2020.03.24 16:29:50 +04'00' |